

თავი 35 დიდი მოაზროვნე

თითქმის მოსაღამოვებულიყო, როდესაც ჯონათანი და მისი ახალი ნაცნობები – მერი ჯეინი და დუბი ქუჩაში გამოვიდნენ. გარკვეული დროის შემდეგ მათ პარკი დაინახეს, სადაც ადამიანები ყველა მხრიდან შედიოდნენ და ცენტრში, გორაკთან იყრიდნენ თავს.

– კარგია, – თქვა მერი ჯეინმა, – ადრე მოვსულვართ. მალე ეს ადგილი დიდი მოაზროვნის ჭეშმარიტების მოსმენის მსურველებით შეივსება. მისი ბაგეებიდან ყველა კითხვაზე პასუხს შენც მიიღებ.

ისინი გაზონზე დასხდნენ. საჭმლისა და ვისკისგან მოთენთილი დუბი რბილ ბალახზე გაიშლართა და დაიძინა. მერი ჯეინი მიუყნდა. მათ გარშემო, ხეების ქვეშ მომლოდინე ადამიანები ჩამოსხდნენ.

ჯონათანმა მის უკან მჯდომი ადამიანის ხმა გაიგონა:

– შესანიშნავია! არ მეგონა, რომ დღეს დიდ მოაზროვნესთან შეხვედრის ბედნიერება გვექნებოდა.

მისმა კომპანიონმა კი უპასუხა:

– არასდროს იცი, რას უნდა ელოდო დიდი მოაზროვნისგან, მისი ჭეშმარიტება...

სწორედ ამ დროს შეკრებილთა ცენტრში მაღალი, ხმელ-ხმელი, შავ კოსტიუმში გამოწკეპილი კაცი გამოჩნდა და მისკენ მიმართულ სახეებს ნელა მოავლო თვალი. ხალხმა ჩოჩქოლი შეწვიტა და მოლოდინში მიუყნდა.

– მშვიდობა ომია! სიბრძნე – უცოდინრობა! თავისუფლება – მონობა! – კაცის მრისხანე ხმა თითქოს მიწიდან ამოდიოდა და ჯონათანის მთელს არსებას ავსებდა. ამ უკანასკნელმა შიშით მონუსხულ ხალხს გადახედა. დიდი მოაზროვნის სიტყვებს არავინ გაეოცებინა.

– რატომ ამბობთ, რომ თავისუფლება მონობაა? – ისე წამოსცდა ჯონათანს, ვერც გააანალიზა, რომ ამას ხმამაღლა ამბობდა.

მისი თავხედობით გაოგნებულმა მერი ჯეინმა ჯონათანი ჩურჩულით დატუქსა:

– გითხარი, ყველა პასუხს მიიღებ მეთქი, თუმცა არ მითქვამს, რომ კითხვები უნდა დაგესვა.

დიდი მოაზროვნე ახალგაზრდა ადამიანს გამომცდელად დააკვირდა. მანამდე მისი მონოლოგი კითხვით არავის შეეწვიტა. სიჩუმეს მხოლოდ ქარის შრიალი არღვევდა. დიდმა მოაზროვნემ შემდგომი სიტყვები თითქმის ავისმომასწავებელი ღრენით წარმოთქვა, თან ნახევრად ხალხს მიმართავდა, ნახევრად ჯონათანს:

– თავისუფლება ყველაზე დიდი ტვირთია, რომლის ზიდვაც კაცობრიობას უწევს. თავისუფლება მძიმე ბორკილება! – ბოლო სიტყვები მან მთელი ხმით წამოიყვირა, ხელები ცისკენ აღმართა და მტევნები თავს ზემოთ გადააჯვარედინა.

– რატომ? – დაიჟინა ჯონათანმა. საზოგადოებისთვის სრულიად უცხო ადამიანის ჩვეული გრძნობა დაეუფლა, რომელსაც არაფრად ადარდებს, რას იფიქრებენ მასზე გარშემომყოფნი.

დიდი მოაზროვნე მის წინ გაჩერდა და მოღუშულმა განაგრძო:

– თავისუფლება ქალებისა და მამაკაცების მხრებზე დაწოლილი უდიდესი ტვირთია, რადგან იგი გონებრივ და სულიერ ძალისხმევას ითხოვს. კეთილი ნება ყველა ქმედებაზე პასუხისმგებლობას გაკისრებთ, – ტკივილითა და შიშით თქვა დიდმა მოაზროვნემ. ამ სიტყვებზე ბრბო შეიშმუშნა, ზოგმა შიშით ყურებზე ხელიც კი აიფარა.

– რას ნიშნავს „პასუხისმგებლობა“? – აუღელვებლად იკითხა ჯონათანმა.

მოაზროვნემ თითქოს უკან დაიხია და სახეზე კეთილი გამომეტყველება აღებუჭდა. იგი ფეხებთან ამოწვერილი ბალახის მოსაწვევად დაიხარა.

– ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ზოგ თქვენგანს ალბათ წარმოდგენაც არ აქვს იმ საშიშროებაზე, რომელზეც მე ვსაუბრობ. დახუჭეთ თვალები და

წარმოდგინეთ ამ ნაზი მცენარის ცხოვრება, – მისი ხმა ბრბოს სალბუნად ეღებოდა გულზე.

ჯონათანის გარდა ყველამ დახუჭა თვალები და მოლოდინში გაინაბა. დიდმა მოაზროვნემ ჰიპნოზიორის მსგავსად დაიწყო სურათის აღწერა.

– ეს პატარა მცენარე ბუჩქის ნაწილია, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს მიწაში გამდგარი. იგი არ აგებს პასუხს საკუთარ ქცევაზე. მისი ყველა ქცევა წინასწარ არის განზრახული ბუნების მიერ. ო, ნეტარო ბუჩქო!

– ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, წარმოდგინეთ ცხოველი. სიმპათიური, მუდმივად მომუშავე თაგვი, რომელიც საკვების საძებნელად მცენარეებს შორის დარბის. ეს ფუმფულა ქმნილება თავის საქციელზე არასდროს აგებს პასუხს. ყველაფერი, რასაც თაგუნა აკეთებს, ბუნების მიერ წინასწარ არის განზრახული. აჰ, ბუნება! ბედნიერი ცხოველები! არც მცენარეები და არც ცხოველები არ იტანჯებიან საკუთარი ნების გამო, რადგან მათ არჩევანის გაკეთება არ უწევთ. ისინი არასწორ საქციელს არასდროს ჩაიდენენ.

ბრბო უეცრად აჩურჩულდა:

– დიახ, დიდო მოაზროვნე, დიახ, დიახ, უდავოდ ასეა!

ფრთებშესხმული ლიდერი თითქოს კიდევ უფრო ამაღლდა შეკრებილთა წინაშე და განაგრძო:

– გაახილეთ თვალები და ირგვლივ მიმოიხედეთ! ადამიანი, რომელიც არჩევანის წინაშე დგას, შესაძლოა, შეცდეს! ჭეშმარიტებას გეუბნებით! არასწორი ფასეულობა და არასწორი არჩევანი თქვენც მოგაყენებთ ზიანს და თქვენს გარშემომყოფებსაც. თავად არჩევანის წინაშე ყოფნაც დაგტანჯავთ. ეს ტანჯვაა სწორედ პასუხისმგებლობა!

ხალხი აკანკალდა და ლამის ერთმანეთს აეკრა. უეცრად ჯონათანის გვერდით მჯდომმა ბიჭუნამ წამოიძახა:

– ო, ბატონო, გთხოვთ... გვითხარით, როგორ გავექცეთ ასეთ ბედს? გვითხარით, როგორ ავიცილოთ თავიდან ეს წამება!

– ეს არცთუ იოლი იქნება, მაგრამ სასიკვდილო ხიფათის თავიდან აცილებას ერთად აუცილებლად მოვახერხებთ. გადაწყვეტილებებს თქვენს ნაცვლად მივიღებ. მაშინ თქვენ იმ ბრალისა და ტანჯვისგან გათავისუფლდებით, რომელიც თავისუფლებას სდევს თან. ყველა წამებას ჩემს თავზე ავიღებ, – მოაზროვნემ ბოლო სიტყვები ისე ხმადაბლა წარმოთქვა, რომ ჯონათანს მათ გასაგებად წინ წაწევამ მოუწია.

ლიდერმა ხელები აიქნია და შესძახა:

– ახლა კი, წადით წინ! იარეთ გამზირებსა და ქუჩებში, ყველა კარზე დააკაკუნეთ! მიიღეთ ხმები, რომლებიც მე მჭირდება. გამარჯვება მე მიპყრია ხელთ, თქვენს წარმომადგენელს ღორდთა საბჭოში!

ბრბომ თანხმობის ნიშნად ერთხმად შესძახა. ყველა წამოიმართა და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა. ისინი ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, რათა პირველები გასულიყვნენ ქუჩაში.

ადგილზე მხოლოდ ჯონათანი, დიდი მოაზროვნე და მშვიდად მხვრინავი დუბი დარჩნენ. ჯონათანი ნანახს და გაგონილს ვერ იჯერებდა. იგი ჭკუიდან შეშლილ ბრბოს უმზერდა, მერე შავებში ჩაცმულ კაცს დააკვირდა. მოაზროვნე მის წინ მჯდომ ახალგაზრდას ვერც ამჩნევდა და სადღაც შორს იყურებოდა. ბოლოს ჯონათანმა დაარღვია სიჩუმე:

– და რა უპირატესობა ექნებათ სხვების წინაშე, თუ თქვენ მოგცემენ გადაწყვეტილებების მიღების უფლებას?

– არანაირი, – ზიზღით ჩაიქირქილა მოაზროვნემ, – რადგან უპირატესობაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ადამიანი თავისუფალია. ჩემს მიმდევრებს, ჩემს ცხვრებს კი სიმშვიდე და აუღელვებლობა ურჩევნიათ. შენ კი, ბიჭუნა, ვისაც უამრავი კითხვა გაქვს, რა გირჩევნია შენ? არჩევნებში გამარჯვებაში

დამეხმარე და ყველა სურვილს შეგისრულებ. ნება მომეცი, გადაწყვეტილებები შენს
ნაცვლად მივიღო. და მაშინ, შენს კითხვებს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება.
ჯონათანს ლამის ენა ჩაუვარდა, იგი მყის შემობრუნდა და ბაღიდან
თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, ზურგს უკან კი დიდი მოაზროვნის სიცილი ესმოდა.